# სიდქ თაუერსი

კენგო კუმა & პარტნიორების მიერ



## ინვესტიცია არქიტექტურაში,
რომელიც დროსთან ერთად,
უფრო ძვირფასი ხდება

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ

# შესავალი 01


სილქ თაუერსი ბათუმში 02

დეტალურად სილქ თაუერსის შესახებ 03

ცხოვრების სტილი და ინფრასტრუქტურა 04

სრულყოფილი მომსახურება 24/7 05

იპოვეთ თქვენი აპარტამენტი 06

მდგრადი განვითარება და მასალები 07

მეტი სილქ დეველოპმენტის პროექტების შესახებ 08



# ხედვა სილქ თაუერსის მიღმა

კომპანია სილქ დეველოპმენტი წარმოგიდგენთ სილქ თაუერსს - პროექტს, რომელიც ასახავს ჩვენს უცვლელ ერთგულებას ჰარმონიული და გააზრებული დიზაინისადმი. სილქ თაუერსი არის ხედვა, რომელიც მსოფლიოში აღიარებულ იაპონურ არქიტექტურულ სტუდია KENGO KUMA & ASSOCIATES-თან თანამშრომლობით რეალობად ვაქციეთ.

განუმეორებელია პროექტის ადგილმდებარეობა - უკანასკნელი ხელმისაწვდომი ადგილი ძველი ბათუმის გულში, ალისა და ნინოს ქანდაკების გვერდით. ჩვენი მიზანია, სილქ თაუერსთან ერთად ბათუმის მთელი რივიერა შავი ზღვისპირეთის ცნობილ ღირსშესანიშნაობად ვაქციოთ.

სილქ თაუერსი აერთიანებს თანამედროვე დიზაინს, ბუნებისადმი პატივისცემასა და არქიტექტურას, რომელიც დროს გაუძლებს. აქ ყოველი დეტალი ზედმიწევნით გათვლილი და დაგეგმილია, რათა კომპლექსი ორგანულად შეერწყას ირგვლივ არსებულ ლანდშაფტს.

სილქ თაუერსი არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მრავალფუნქციურ პროექტს. ესაა ფილოსოფია, ცხოვრების სტილი და იშვიათი შესაძლებლობა, გახდეთ არქიტექტურული სრულყოფილების ენით დაწერილი ისტორიის ნაწილი.

# სილქ დეველოპმენტის შესახებ

სილქ როუდ ჯგუფი საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ დივერსიფიცირებულ ჰოლდინგს წარმოადგენს. ის აერთიანებს ისეთ წამყვან კომპანიებს, როგორებიცაა სილქნეტი, სილქ ბანკი, სილქ როუდ ენერჯი, სილქ რიალ ისთეითი და სხვა. ამ დიდი ოჯახის ნაწილია სილქ დეველოპმენტიც, რომლის საქმიანობის ძირითადი არეალია უძრავი ქონების პროექტების კონცეფციების შექმნა, განვითარება და სისრულეში მოყვანა.

2005 წლიდან დღემდე სილქ დეველოპმენტმა მრავალი მსხვილი პროექტი განახორციელა და შედეგად ასეულობით მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია მოიზიდა საქართველოში.

კომპანია გამოირჩევა საქმისადმი თანამედროვე მიდგომებითა და მდგრადობით.
მუდამ ითვალისწინებს უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნებს. ეს ყოველივე განაპირობებს სანდოობას როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ისე საერთაშორისო პარტნიორებისათვის.

სილქ დეველოპმენტი ყოველთვის მიიჩნევდა მთავარ პრიორიტეტად ისეთი მსოფლიო დონის არქიტექტურის შექმნას, რომელიც ამავდროულად სრულ ჰარმონიაშია ადგილმდებარეობასთან. თითოეული პროექტი ორგანულად ერწყმის ავთენტურ გარემოს და ავითარებს ცხოვრების წესს. პროექტები ხორციელდება მშენებლობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უმაღლესი სტანდარტების გათვალისწინებით.

კომუნიკაციები
SILKNET
www.silknet.com

საბანკო სექტორი
Silk
www.silkbank.ge

ენერგეტიკა
SILK ROAD ENERGY
www.silkroadenergy.ge

მედია
euronews. GEORGIA
www.euronewsgeorgia.com

მედია
NATIONAL GEOGRAPHIC საქართველო
www.nationalgeographic.ge













# სილქ რიალ ისთეითის ცნობილი სასტუმროები



## რადისონ ბლუ ივერია, თბილისი

სასტუმრო მდებარეობს ქალაქის მთავარ გამზირზე, ფეხით სავალ მანძილზე სავაჭრო უბნებიდან, ძველი ქალაქიდან, სამთავრობო შენობებიდან, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრიდან, რუსთაველის თეატრიდან, თბილისის საკონცერტო დარბაზიდან და სხვა კულტურული თუ ბიზნესცენტრებიდან. სასტუმრო მდინარის ორივე მხრიდან არის ხელმისაწვდომი. შენობა აიგო 1967 წელს საბჭოთა მთავრობის მიერ, როგორც ქალაქის ყველაზე პრესტიჟული სასტუმრო. რადისონ ბლუ ივერია შენობის რესტავრაციის შემდეგ, 2009 წელს გაიხსნა.



## წინანდლის მამული, სასტუმრო რადისონ ქოლექშენი

სასტუმრო მდებარეობს წინანდალში, უდიდესი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ისტორიულ მამულში. ქრისტინა გაბასის მიერ შექმნილი დიზაინი ისტორიულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე არქიტექტურას შორის დახვეწილ ბალანსს გვთავაზობს. ინტერიერი მოიცავს ცნობილი ინდუსტრიული დიზაინერის, ინგო მაურერისა და ქართველი მოქანდაკის, თამარა კვესიტაძის შემოქმედებას. სასტუმრო ჰარმონიულად აერთიანებს თანამედროვე კომფორტს ისტორიულ ატმოსფეროსთან.



## სასტუმრო კოხტა ბაკურიანი

ელეგანტური სასტუმრო ბაკურიანის გამორჩეულ ლოკაციაზე მდებარეობს. ინტერიერში ბუნებრივი მასალების სიმრავლე საერთო ატმოსფეროს აძლიერებს და ქმნის სივრცეს, რომელიც ჰარმონიაში მოდის სამთო კურორტის თვალწარმტაც ხედებთან.



## რადისონ ბლუ ბათუმი

მაღალი კლასის სასტუმრო შავი ზღვის სანაპიროზე, ბათუმის ცენტრში. სასტუმრო სანაპიროებიდან და ქალაქის ბულვარიდან სულ რაღაც ერთი წუთის სავალზე მდებარეობს და იდეალური არჩევანია დასასვენებლად. მიკელე დე ლუკის უჩვეულო და ორიგინალური დიზაინი, რომელიც რადისონ ბლუ ბათუმისთვის შეიქმნა, თანამედროვე ელეგანტურობისა და კულტურული ინტეგრაციის კომბინაციას წარმოადგენს. სასტუმრო 2011 წელს გაიხსნა.



## სასტუმრო ტელეგრაფი

თბილისის ცენტრალური ფოსტის ისტორიულ შენობაში მდებარე სასტუმრო ტელეგრაფი აერთიანებს 1970-იანი წლების არქიტექტურულ მემკვიდრეობასა და NERI & HU-ს თანამედროვე დიზაინს. 239 დახვეწილი ნომრით, მრავალფეროვანი რესტორნებით, ჯაზ-კლუბითა და ღონისძიებებისთვის განკუთვნილი სივრცეებით სასტუმრო სტუმრებს დაუვიწყარ გამოცდილებას სთავაზობს. 2024 წელს სასტუმრო ტელეგრაფი გახდა პირველი სასტუმრო რეგიონში, რომელიც THE LEADING HOTELS OF THE WORLD-ის წევრი გახდა.

## კაზინო ივერია თბილისი

კაზინო ივერია თბილისი დედაქალაქის ცენტრში, რესპუბლიკის მოედანზე მდებარეობს. 22 სათამაშო მაგიდით, 159 სათამაშო აპარატით, ოთხი ბარით, მსოფლიო დონის რესტორნითა და საერთაშორისო სტანდარტის მომსახურებით - ეს არის კაზინო, რომელიც აზარტული თამაშებისთვის ლუქს კლასის სტანდარტს აწესებს.

## კაზინო ივერია ბათუმი

რადისონ ბლუ ბათუმში მდებარე კაზინო ივერია ბათუმი სტუმრებს თანამედროვე აზარტულ თამაშებსა და ხუთვარსკვლავიან მომსახურებას სთავაზობს. 19 სათამაშო მაგიდა, 116 სათამაშო აპარატი, 24-საათიანი რესტორანი და დახვეწილი ევროპული სტილის ინტერიერი - ეს ყველაფერი დაუვიწყარი გართობისათვის შავი ზღვის სანაპიროზე.

# KENGO KUMA & ASSOCIATES-ის კონცეფცია

მდგრადი არქიტექტურა სილქ რიალ ისთეითის პრიორიტეტს წარმოადგენს. ეკომეგობრულ გადაწყვეტებს ჩვენი პროექტების ყველა ასპექტში ვნერგავთ, რათა შევქმნათ უფრო მწვანე მომავალი. იმისთვის, რომ სილქ თაუერსის ჩვენეული ხედვა რეალობად გვექცია, ვითანამშრომლეთ ცნობილ იაპონურ არქიტექტურულ სტუდიასთან - KENGO KUMA & ASSOCIATES. ეს სტუდიის პირველი თანამშრომლობაა როგორც სილქ როუდ ჯგუფთან, ისე ზოგადად საქართველოსთან.

კენგო კუმამ თავისი კომპანია 1990 წელს დააარსა. დღეს მისი პროექტები 50-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი. მისი  არქიტექტურა ცნობილია ახლებური კავშირების პოვნით ბუნებას, ტექნოლოგიასა და ადამიანებს შორის.

2021 წელს კენგო კუმა მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიან ადამიანს შორის დასახელდა. თანამედროვე არქიტექტურაში შეტანილი წვლილის აღსანიშნავად დაჯილდოებულია მე-80 იმპერიული პრემიით. მიღებული აქვს იაპონიის სამხატვრო აკადემიის ჯილდო V&A DUNDEE-ის ცნობილი დიზაინისთვის.





### დეველოპერული კომპანია

**სილქ დეველოპმენტი**

თბილისი

ლიდერი კომპანია უძრავი ქონების სფეროში 2005 წლიდან, რომელმაც საქართველოს მასშტაბით 1.3 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განახორციელა.

### წამყვანი არქიტექტურული სტუდია

**KENGO KUMA & ASSOCIATES (KKAA)**

ტოკიო / პარიზი

თანამედროვე არქიტექტურით, ბუნებრივი მასალებით, დიზაინისადმი ინოვაციური მიდგომითა და ლოკაციის თავისებურებების გათვალისწინებით შექმნილი პროექტები

### ფასადის ინჟინერია

**AKT II**

ლონდონი

საინჟინრო კომპანია, რომელსაც მიღებული აქვს მრავალი ჯილდო კომპლექსური ფასადების შესრულებისა და ინოვაციური კონსტრუქციული გადაწყვეტილებებისთვის.

### ლანდშაფტის დაგეგმარება

**MASU PLANNING**

კოპენჰაგენი

მსოფლიო აღიარება ადამიანის საჭიროებებზე ორიენტირებული კომფორტული და ეკოლოგიური ურბანული გარემოს შექმნისთვის.

# სილქ თაუერსი ბათუმში

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ



# სილქ თაუერსი ბათუმში

ძველი ბათუმის გული. ზღვის სანაპიროდან პირველი ზოლი. ალი და ნინოსთან ძალიან ახლოს. ძალიან ახლოს ანბანის კოშკთანაც. სწორედ ასეთ ისტორიულ ლოკაციაზე შენდება განუმეორებელი პროექტი - სილქ თაუერსი.

ეს მრავალფუნქციური კომპლექსი უზადო არქიტექტურას, თანამედროვე ცხოვრების სტილს, მდიდარ კულტურასა და იდეალურ საინვესტიციო შესაძლებლობას აერთიანებს.
სულ რამდენიმე ნაბიჯშია ძველი ბათუმის ღამის ცხოვრება, სარეკრეაციო სივრცე, ტურისტული ღირსშესანიშაობები და, რა თქმა უნდა, თვალწარმტაცი სანაპიროები.










შექმნილია და იმართება სილქ როუდ ჯგუფის მიერ



# ოთხივე სეზონზე აქტუალური

## ცხოვრების ზღვისპირა რიტმი

ბათუმი განთქმულია 21-კილომეტრიანი სანაპირო ზოლითა და შავი ზღვის თბილი წყლებით, სადაც ტემპერატურა 21-დან 29°C-მდე მერყეობს. აქტიური დასვენების გარდა, ქალაქი სტუმრებს ენერგიის აღდგენისა და რელაქსაციისთვის სამკურნალო მზის თერაპიასა და ზღვის მარილის აბაზანებს სთავაზობს. ჰაერში აკაციის, მაგნოლიისა და ზღვის სურნელი იგრძნობა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ბათუმის უნიკალურ ატმოსფეროს.

## გასტრონომია და კულტურა

ბათუმის სტუმრებს შეუძლიათ დააგემოვნონ ავთენტური ტრადიციული სამზარეულო და აღმოაჩინონ უძველესი ქართული მეღვინეობა. ამასთან, ქალაქი თანამედროვე კულტურული ცენტრია, რომელსაც მსოფლიო მუსიკის ისეთი ვარსკვლავები სტუმრობენ, როგორებიც არიან სტინგი, MAROON 5 და SNOOP DOGG. ბათუმი მასპინძლობს არაერთ ცნობილ ფესტივალსაც, მათ შორის, ბათუმის საერთაშორისო არტ-ჰაუს კინოფესტივალსა (BIAFF) და შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალს.

## ზღვა და ეკოტურიზმი

სანაპიროებით, ნავსადგომითა და წყლის მრავალფეროვანი გასართობებით ბათუმი იდეალური ქალაქია საზღვაო ტურიზმისათვის. ბუნების მოყვარულებმა აუცილებლად უნდა მოინახულონ ახლომდებარე კოლხეთის ტროპიკული ტყეები და ჭაობები, რომლებიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეტანილი და სადაც ფლორისა და ფაუნის ენდემურ სახეობებს შეხვდებით.

შექმნილია და იმართება სილქ როუდ ჯგუფის მიერ

















შექმნილია და იმართება სილქ როუდ ჯგუფის მიერ

## აზარტული თამაშების ტურიზმი

ცნობილი, როგორც „ზღვისპირა ლას-ვეგასი“, ბათუმი განთქმულია თავისი კაზინოებით, რომლებიც გვთავაზობენ როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე გეიმინგ გამოცდილებას. დინამიკურად მზარდი ინდუსტრია სტუმრებს მთელი მსოფლიოდან იზიდავს. ბათუმის კაზინოთაგან გამორჩეულია რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული „კაზინო ივერია“ - ცნობილი თავისი ელეგანტური ატმოსფეროთი, პროფესიონალური მომსახურებითა და მსოფლიო დონის გართობით

## MICE და ბიზნეს ტურიზმი

თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და სტრატეგიული მდებარეობის წყალობით, ბათუმი MICE ტურიზმის (შეხვედრები, თანამშრომლების წამახალისებელი მოგზაურობები, კონფერენციები და გამოფენები) მზარდი ცენტრია, რომელიც ხშირად მასპინძლობს საერთაშორისო ბიზნეს ღონისძიებებს.

## სამთო-სათხილამურო ტურიზმი

ბათუმი მხოლოდ საზაფხულო დასვენების ადგილი არ არის. მახლობლად, მაღალმთიან აჭარაში, მდებარეობს გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტი (ზღვის დონიდან 2350 მეტრი), რომელსაც წლის განმავლობაში 20 000-ზე მეტი ვიზიტორი სტუმრობს

# დეტალურად სილქ თაუერსის შესახებ

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ



# სილქ თაუერსი

სილქ თაუერსის მასშტაბს რეგიონში ანალოგი არ აქვს. კომპლექსი მოიცავს 10 ჰექტარამდე ტერიტორიას, სადაც განთავსებული იქნება საცხოვრებელი აპარტამენტები, უმაღლესი კლასის სასტუმრო ნომრები, კაზინო, რესტორნები, ბარები, პრემიუმ მაღაზიები, სპა, ფიტნეს ცენტრები და აუზები; ასევე, პადელის კორტები და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა.

ეტაპობრივი განვითარებით სილქ თაუერსის ტერიტორიაზე ოთხი შენობა გაშენდება. ყველა მათგანი ისე იქნება განლაგებული, რომ შენარჩუნდეს ხედები ყველა მხარეს და შეიქმნას ჰაერის ბუნებრივი ცირკულაცია.

ცალსახაა, რომ ისეთი განუმეორებელი პროექტი, როგორიცაა სილქ თაუერსი, მაღალი საიმედოობის საინვესტიციო პროექტად პოზიციონირდება. ამას თან ერთვის ბათუმის ტურისტულ ბაზარზე მაღალი მოთხოვნა მთელი წლის განმავლობაში.

**სილქ თაუერსი - ერთადერთი და განუმეორებელი**



# შექმნილი კვლევაზე დაფუძნებით, დაპროექტებული მომავლისთვის

სილქ თაუერსის ყველა დეტალი მსოფლიო დონის კვლევას ეფუძნება. ბიოკლიმატური პირობების ფართომასშტაბიანი შეფასების შედეგად მივიღეთ კომპლექსის ისეთი არქიტექტურა, როგორიც მთელი წლის განმავლობაში მაქსიმალურ კომფორტს უზრუნველყოფს: ამცირებს სითბურ ზემოქმედებას, აუმჯობესებს ბუნებრივ ვენტილაციას და მაქსიმალურად იყენებს დღის სინათლეს. ეს ყველაფერი, მომავალი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, არა მხოლოდ ცხოვრების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს, არამედ ხელს უწყობს გრძელვადიანი ღირებულების შექმნას ენერგოეფექტურობისა და ჭკვიანი დიზაინის მეშვეობით.

ამასთან ერთად, წამყვანმა საერთაშორისო ექსპერტებმა (ZETAŞ) ჩაატარეს გეოტექნიკური და სეისმური რისკის სრული შეფასება. 400 მეტრზე ღრმა მიწისქვეშა ბურღვამ, ლაბორატორიულმა გამოცდებმა და სეისმურმა მოდელირებამ დაადასტურა ტერიტორიის უსაფრთხოება და სტაბილურობა. ინდივიდუალურად შემუშავებული ღრმა საძირკვლის სისტემა დაპროექტდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც ამყარებს სილქ თაუერსის, როგორც დაბალი რისკისა და მაღალი საიმედოობის საინვესტიციო პროექტის სტატუსს. სილქ თაუერსი არ არის უბრალო პერსპექტიული პროექტი - ის საიმედო და მომავალზე ორიენტირებული აქტივია ინვესტორებისათვის.








# გარემო

ალი და ნინო ........ 250 მ
ბათუმის პიაცა ........ 1.5 კმ
ევროპის მოედანი ........ 1.8 კმ
ბათუმის ცენტრალური რკინიგზის სადგური ........ 4.5 კმ
ბათუმის ბოტანიკური ბაღი ........ 9 კმ
ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი ........ 7.3 კმ
გონიოს ციხე ........ 13 კმ
გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტი ........ 110 კმ




სილქ თაუერსის
ზონირება
ფაზა 1
• მუნიციპალური პარკი
• იახტ-კლუბი
• შენობა 1
• შენობა 4
კაფე
შენობა 3
• მსხვილმასშტაბიანი კაზინო
• სასტუმრო
• მულტიფუნქციური ივენთ ჰოლი
• პრემიუმ სავაჭრო სივრცეები
• რესტორნები
კაფე
სანაპირო ხაზი
შენობა 2
• საცხოვრებელი აპარტამენტები
• ღია და დახურული საცურაო აუზები
• პრემიუმ სპორტული და ფიტნეს ცენტრი
• პრემიუმ სავაჭრო სივრცე
• გასტრონომიული ზონა
შენობა 1
• საცხოვრებელი აპარტამენტები
• სასტუმრო
• ექსკლუზიური კაზინო
• ღია და დახურული საცურაო აუზები
• პრემიუმ სპა და ფიტნეს ცენტრი
• პროფესიონალური პადელის კორტი
• რესტორნები და ბარები
შენობა 4
• საცხოვრებელი აპარტამენტები
• ღია და დახურული აუზები
• რესტორნები და ბარები
იახტ-კლუბი
ექვსი პროფესიონალური
პადელის კორტი
მინი ფეხბურთის მოედანი
პარკი
• MASU PLANNING-ის მიერ დაპროექტებული
2 ჰექტარზე გაშენებული პარკი



# ახალი მუნიციპალური პარკი ბათუმში

კირველი ფაზის ნაწილი
გახსნილია საზოგადოებისთვის

MASU PLANNING

კომპლექსს ამშვენებს 20,000 $მ^2$-ზე გაშლილი რეკრეაციული ზონა. ის სილქ როდ ჯგუფის საჩუქარია ქალაქის სტუმრებისა და მაცხოვრებელთათვის: დასვენებისა და რეკრეაციისთვის შექმნილი გამწვანებული სივრცე, რომელიც ბუნებრივად ერწყმის ბათუმის ბულვარს.

პარკის პროექტზე დანიურმა კომპანია, MASU PLANNING-მა იმუშავა. პარკი აერთიანებს მინი ფეხბურთის მოედანს და კადელის კორტებს, საბავშვო სივრცეებს, ველო და საფეხმავლო ბილიკებს.

პარკის განაშენიანების პროცესში შენარჩუნდა არსებული მრავალწლოვანი ხეები და მათ გვერდით ახალი, საგულდაგულოდ შერჩეული მცენარეების სახეობები დაირგო. აქ შეხვდებით ბალახითა და ყვავილებით დაფარულ ვრცელ, თვალწარმტაც მდელოებს, სადაც ტყის ნიადაგის ბუნებრივი სტრუქტურა ხელუხლებლადაა შენარჩუნებული.

სილქ თაუერსის მაცხოვრებლებისთვის ორ ჰექტარზე გადაჭიმული მთელი ეს სივრცე უშუალოდ სახლის ზღურბლთან დაიწყება.

MASU PLANNING ცნობილია ისეთი გამორჩეული მწვანე სივრცეების შექმნით, სადაც პრიორიტეტი ადამიანის კომფორტსა და საჭიროებებს ენიჭება.

პარკი სიმბოლურად ირეკლავს საქართველოს მრავალფეროვან ლანდშაფტს. ცენტრში გაშენებულია ბათუმის ბოტანიკური ბაღის შთაგონებით შექმნილი მცირე ბოტანიკური ბაღი. ასობით ჯიშის ხე-მცენარეებითა და ყვავილებით დაფარული ტერიტორია დაცულია ქარის, ხმაურისა და ქალაქის გამონაბოლქვისაგან. პარკის აღმოსავლეთი ნაწილი სანაპიროს ერწყმის, დასავლეთი კი უფრო მწვანე და ტყიან ლანდშაფტს იმეორებს.

მთავარი ხეივნის გასწვრივ მაღალი ბუჩქები და გვიმრები ქმნის მწვანე კედელს, რომელსაც მოაქვს განმარტოებისა და სიმშვიდის შეგრძნება. აქვეა სტეპის ზონაც მაღალი ბალახებითა და ფართო მდელოებით, რაც იდეალურია მზის აბაზანების მისაღებად, დასასვენებლად ან საყვარელ ადამიანებთან ერთად დროის გასატარებლად.



# იახტ-კლუბი

## პირველი ფაზის ნაწილი

სილქ თაუერსის მორიგი ღირსება კერძო იახტ-კლუბია. მასზე აგრეთვე KENGO KUMA & ASSOCIATES-მა იმუშავა, რაც მოწმობს, რომ ის კომპლექსის ორგანული ნაწილია.

იახტ-კლუბი მოიცავს საკუთარ ნავსადგომსა და ადმინისტრაციულ შენობას. კლუბის წევრები ისარგებლებენ კონსიერჟის მომსახურებით, დაცვითა და ყველა სხვა მხარდაჭერით, რაც სრულყოფილი საზღვაო დასვენებისთვისაა საჭირო.

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ

# იახტ-კლუბის მშენებლობა უკვე მიმდინარეობს

## არქიტექტორის შეფასება

„იახტ-კლუბი ქმნის დამაკავშირებელ ხიდს ბუნებასა და არქიტექტურული კომპლექსის შესასვლელ პუნქტებს შორის, ეგებება რა სტუმრებს როგორც ზღვის, ისე ბათუმის ახალი მუნიციპალური პარკის მხრიდან. ხის კონსტრუქციაზე დაყრდნობილი არქიტექტურა ჰარმონიაში მოდის ბუნებასთან და ქმნის ადამიანურ მასშტაბზე მორგებულ, მყუდრო სივრცეს.

ნაგებობის თანდათანობით აღმავალი სახურავი ბუნებრივად ამოიზრდება ლანდშაფტიდან და ჰარმონიულად ერწყმის ზღვასა და, მთლიანად, გარემოს.“

იუკი იკეგუჩი, KENGO KUMA & ASSOCIATES-ის პარტნიორი / აღმასრულებელი ვიცე პრეზიდენტი

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ



# ცხოვრების წესი და ინფრასტრუქტურა

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ



# სილქ თაუერსი

## როგორც ცხოვრების წესი

სილქ თაუერსს განუმეორებელ პროექტად არ აქცევს მხოლოდ არნახულ მასშტაბზე გათვლილი არქიტექტურა. აქ ყველაფერია გართობისა და რელაქსაციისთვის. საცურაო აუზები, პადელის კორტები, სპა და ფიტნეს ცენტრები, ველობილიკები, კაფეები და რესტორნები, საბავშვო მოედნები და პრემიუმ მაღაზიები იმ ინფრასტრუქტურის არასრული ჩამონათვალია, რომელთა ერთობლიობაც უზრუნველყოფს მაღალ მოთხოვნას მთელი წლის განმავლობაში.



შექმნილია და იმართება სილქ როუდ ჯგუფის მიერ

### კაზინო



### ღია & დახურული პადელის კორტები



### ფიტნეს ცენტრი



### კაფეები და რესტორნები



### ღია & დახურული აუზები და სპა



### საბავშვო მოედნები



# სრულყოფილი მომსახურება 24/7

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ



# სრულყოფილი მომსახურება 24/7

სილქ თაუერსში კომფორტისა და მომსახურების უმაღლეს სტანდარტს სილქ ჰოსფითალითი უზრუნველყოფს. სილქ ჰოსფითალითი სტუმარმასპინძლობის სფეროში ქვეყნის წამყვანი კომპანიაა, რომელსაც ზუსტად ესმის, როგორი უნდა იყოს გამორჩეული მასპინძლობა და გამართული სერვისი.

სილქ ჰოსფითალითის გუნდი თაუერსის მაცხოვრებელთა ყოველდღიურ ცხოვრებას განუმეორებელ გამოცდილებად აქცევს. პერსონალიზებული მომსახურება მოიცავს კონსიერჟს, ტექნიკურ სერვისებს, ცხოვრების სტილის მენეჯმენტსა და სხვა.

რეზიდენტებს ექნებათ წვდომა ექსკლუზიურ, სასტუმროს სტანდარტებზე მორგებულ მომსახურებებზე,

- გამაჯანსაღებელ აქტივობათა ჯავშნები
- უსაფრთხოება
- ღონისძიებებისა და რესტორნების ჯავშნები
- 19 ლიფტი

- 24/7 კონსიერჟი
- ავტოსადგომი
- დასუფთავების სერვისი
- აპარტამენტების მენეჯმენტი
- ტექნიკური მომსახურება






# მიიღეთ SILK REWARDS-ის GOLD სტატუსი

სილქ თაუერსში აპარტამენტის შეძენისას ავტომატურად მოგენიჭებათ SILK REWARDS-ის GOLD სტატუსი.

SILK REWARDS არის ლოიალობის აპლიკაცია, რომელიც სილქ ჰოსპიტალითის ყველა ობიექტში ყოველდღიურად რეალურ სარგებელს გაძლევთ.

თქვენი ბენეფიტები:

- 10% ქეშბექი ყოველ გადახდაზე
- ქულების დაგროვება და გამოყენება ყველა ობიექტში
- სასტუმროებისა და რესტორნების დაჯავშნა საუკეთესო ფასად
- ექსკლუზიური შეთავაზებები და პერსონალიზებული ბენეფიტები
- ქულების გამოყენება სხვადასხვა სერვისის მისაღებად (სასტუმრო, რესტორანი, აუზი და სხვა)
- ბონუსები და საჩუქრები პროგრამის წევრებისთვის

1 ქულა = 1 ლარი

# იპოვეთ თქვენი აპარტამენტი

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ



# აპარტამენტები

სილქ თაუერსში აპარტამენტების ინტერიერი მინიმალისტური დიზაინითაა გადაწყვეტილი. ხისა და სხვა ბუნებრივი მასალების სიუხვე ჰარმონიაში მოდის ბეტონის კონსტრუქციასთან. ასე იქმნება სიმყუდროვე და განსაკუთრებული ატმოსფერო - ის, რაც ჩვენი მაცხოვრებლებისათვის სახლად უნდა იქცეს. აპარტამენტები ოთხი ტიპისაა: სტუდიო, 1-, 2- და 3-საძინებლიანი. სტრატეგიული განლაგების წყალობით, თითოეულ აპარტამენტს აქვს ტერასა და პანორამული ხედები ზღვის, მთების, ქალაქისა თუ პარკის მიმართულებით.

ტერასები გამოყოფილია მტკიცე ბეტონის სვეტებით, რომლებიც ქმნის განმარტოების შეგრძნებას და, ამავდროულად, იცავს ზედმეტი მზისა თუ ქარისგან. აყვავებული მწვანე საფარი აპარტამენტების ფანჯრებიდან ეშვება და ორგანულად ერწყმის შენობის ფასადს. ყველა აპარტამენტი ერთნაირად ჩაფლულია ირგვლივ არსებულ ბუნებრივ სილამაზეში. და მაინც, თითოეული მათგანი ინდივიდუალური და განუმეორებელია.

მრავალსართულიანი კონსტრუქციების რაოდენობის შემცირება და ადამიანური მასშტაბის სივრცის გამოკვეთა სილქ თაუერსის ერთ-ერთ მთავარ ჩანაფიქრად იქცა. შენობათა სტრატეგიული განაწილებით იქმნება ჰაერის ბუნებრივი ცირკულაცია, დაჩრდილული ბილიკები და გრილი საზოგადოებრივი სივრცეები, სადაც მაცხოვრებლებს შეეძლებათ დასვენება, შეხვედრა და ურთიერთობა. ამ გაგებით სილქ თაუერსი ნაგებობაზე მეტად ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც რეაგირებს სინათლეზე, ტემპერატურასა და ადამიანების ურთიერთკავშირზე.





# ჰარმონიული დიზაინი

ნათელი ფერებისა და ფერადი მინის ტიხრების კომბინაცია სივრცის აღქმას ზრდის, ხის ფაქტურის იატაკი კი სიმყუდროვის შეგრძნებას აძლიერებს. სილქ თაუერსის აპარტამენტის ავეჯი განუმეორებელი და ბუნებრივი მასალისგანაა შექმნილი.



# სრულფასოვანი ცხოვრებისათვის შექმნილი

განსაკუთრებულ სიმყუდროვეს მინიმალისტური დიზაინი და ბუნებრივ მასალათა სიჭარბე განაპირობებს. ვიტრაჟული ფანჯრებიდან ზღვის, მთების, ქალაქის ან პარკის მიმართულებით პანორამული ხედები იშლება.



# ფუნქციური მინიმალიზმი

გამოყენებულია დეკორატიული ლესვა და
კერამიკული ფილები ტერაცოს ფაქტურით.
ჭარბობს ტერაკოტა და სპილოს ძვლისფერი.
სივრცე სრულადაა ათვისებული, მინიმალისტური
დიზაინის შენარჩუნებით.



# იპოვეთ თქვენი აპარტამენტი




- სტუდიოს ტიპის
- 1-ოთახიანი კუთხის ტიპის
- 1-ოთახიანი A ტიპის
- 2-ოთახიანი კუთხის ტიპის
- 1-ოთახიანი B ტიპის

## ტიპური 9-40

## სტუდიოს ტიპის აპარტამენტი

სართულები 6-40

| | |
|---|---|
| შიდა ფართობი | 24.2m² |
| გარე ფართობი | 4.7m² |
| **საერთო ფართობი** | **29 m²** |





სართულის მიხედვით ბინის დაგეგმარება შესაძლოა უმნიშვნელოდ შეიცვალოს

## 1-საძინებლიანი აპარტამენტი / B ტიპის

სართულები 6-40

| | |
|---|---|
| შიდა ფართობი | 37.8m² |
| გარე ფართობი | 8.0m² |
| **საერთო ფართობი** | **45.9m²** |





სართულის მიხედვით ბინის დაგეგმარება შესაძლოა უმნიშვნელოდ შეიცვალოს

## 1-საძინებლიანი აპარტამენტი / კუთხის ტიპის
სართულები 6-40




| | |
|---|---|
| შიდა ფართობი | 47.2m² |
| გარე ფართობი | 4.7m² |
| **საერთო ფართობი** | **51.8m²** |





სართულის მიხედვით ბინის დაგეგმარება შესაძლოა უმნიშვნელოდ შეიცვალოს

## 2-საძინებლიანი აპარტამენტი / კუთხის ტიპის
სართულები 6-40




| | |
|---|---|
| შიდა ფართობი | 62.9m² |
| გარე ფართობი | 9.4m² |
| **საერთო ფართობი** | **72.3m²** |





სართულის მიხედვით ბინის დაგეგმარება შესაძლოა უმნიშვნელოდ შეიცვალოს

# იშვიათი შესაძლებლობა, რომელიც არ უნდა გამოტოვო

საქართველოში რეგიონის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და გამჭვირვალე საინვესტიციო გარემოა. დაბალი გადასახადები, კაპიტალის შეუზღუდავი რეპატრიაცია და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის საკუთრების სრული უფლება მუდმივად იზიდავს საერთაშორისო ინვესტორებს. ბიზნესის სიმარტივის გლობალურ რეიტინგში საქართველოს მე-7 ადგილი უკავია, რეგიონის მასშტაბით კი ლიდერობს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით.

### მზარდი ტურიზმი

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად რჩება. 2025 წლის I–II კვარტალში ქვეყანამ 2.81 მილიონ საერთაშორისო ვიზიტორს უმასპინძლა, რამაც ტურიზმის 5%-იანი წლიური ზრდა შეადგინა. ტურისტების მოდინება ძირითადად ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნებიდან ხდება. სტაბილურად იზრდება მოთხოვნა მაღალი კლასის საცხოვრებელ სივრცეებზე. სწორედ ამიტომ სტუმარმასპინძლობის სფეროსთან დაკავშირებულ უძრავ ქონებაში ინვესტიციას გრძელვადიანი მოგების უდიდესი პოტენციალი აქვს.

### ბათუმი - შავი ზღვის ჰაბი

ბათუმი მთელ შავიზღვისპირეთში ერთ-ერთი ყველაზე დინამიკური ტურისტული და საინვესტიციო ცენტრია. 2024 წელს მას მიენიჭა „მსოფლიოს საუკეთესო ოთხსეზონიანი ტურისტული მიმართულების“ სტატუსი. ესაა ქალაქი, რომელიც შესანიშნავად აერთიანებს სუბტროპიკული ცხოვრების სტილსა და თანამედროვე ურბანულ ინფრასტრუქტურას; სადაც უძრავი ქონებისა და სტუმარმასპინძლობის სექტორი იზიდავს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ინვესტორებს.

### სტაბილური შემოსავალი, მაღალი მოთხოვნა მთელი წლის განმავლობაში

ბათუმის ძლიერი ტურისტული ბაზარი უზრუნველყოფს დაახლოებით 65-70%-იან სტაბილურ შევსებას, რასაც ხელს უწყობს მზარდი ავიაკავშირები და უწყვეტი ინფრასტრუქტურული განვითარება.

სტუმარმასპინძლობის სექტორი ინვესტორებს სთავაზობს მიმზიდველ - 5-წლიან 10-12% უკუგებასა და კაპიტალის მუდმივ ზრდას.

ქვეყნის მზარდი ეკონომიკის, აქტიური ტურისტული სექტორისა და მოქნილი საინვესტიციო გარემოს წყალობით, ბათუმი რეგიონში გრძელვადიანი შემოსავლის ყველაზე პერსპექტიულ ადგილად იქცა.

სილქ თაუერსი არის იშვიათი შესაძლებლობა, გახდეთ ბათუმის მომავლის ნაწილი.

* წყარო CUSHMAN & WAKEFIELD VERITAS



# მდგრადი განვითარება და მასალები

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ



# სილქ თაუერსის ფასადების პროექტირება

სილქ თაუერსის ფასადი ერთობლივად შეიმუშავეს არქიტექტურულმა კომპანიამ KKAA და ფასადების დიზაინის კომპანიამ AKTII.  მათ ზედმიწევნით გაითვალისწინეს გარემო და ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციები. კუმა & პარტნიორებმა არჩევანი ბოლნისის ისტორიულ კარიერზე შეაჩერეს. აქ მოპოვებული მასალის მდიდარი ტექსტურა ჰარმონიულად ეხამება სილქ თაუერსის ლანდშაფტს.

პროცესში ვიზრუნეთ მასალების მაქსიმალურ ოპტიმიზაციაზე: ფასადის აგრეგატად ვაქციეთ ქვის ფრაგმენტებიც კი, რომლებიც აქამდე ნარჩენებად ითვლებოდა. ტექსტურის, ფერისა და გეომეტრიის დეტალური ანალიზის შედეგად მივიღეთ ფასადი, რომელიც შთანთქავს და აირეკლავს სინათლეს და მთელი დღის განმავლობაში დინამიკურ გამომსახველობას ინარჩუნებს.

მკვრივი მინერალური ზედაპირები დაღარული ელემენტებითაა დაბალანსებული. ტექსტურირებული ქვის გამოკვეთილი აგრეგატები ქმნის დაცულობისა და სიმშვიდის განცდას, ხოლო მათში შერეული გამწვანება - ერთგვარ ცოცხალ გარსს, სადაც შენობები ბუნებრივ რიტმს ჰყვება და სეზონების ცვალებადობაზე რეაგირებს.

ასე შეიქმნა სილქ თაუერსის ფასადი - არქიტექტურა, რომელიც ბუნებრივ გარემოსთან ერთ, ჰარმონიულ კომპოზიციაში ექცევა.





კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ



# მტკიცე ინფრასტრუქტურა და რესურსების ეფექტიანი გამოყენება

ხარისხი და მდგრადობა ჩვენი პრიორიტეტია. კარგად დაპროექტებული და მოქნილი ბეტონის ჩონჩხი იოლად ადაპტირდება საჭიროებებზე, რომლებიც შეიძლება პროცესში წარმოიშვას. კოშკის მართკუთხა ფორმა და ბირთვების განლაგება ცენტრალურ ნაწილში აიოლებს სხვა დონეების დაგეგმარების შემდგომ პროცესს. აღნიშნული ხელს უწყობს მშენებლობის ოპტიმიზებას და ამცირებს მოულოდნელად წარმოშობილი გამოწვევების ალბათობას. საფუძვლიან საინჟინრო კვლევებზე დაყრდნობით, ჩვენ აგრეთვე ვგეგმავთ ბეტონის რაოდენობისა და ზომების ოპტიმიზაციას, რათა რაც შეიძლება ეფექტიანად გამოვიყენოთ რესურსები.

## ტექსტურირებული მოპირკეთება

ბეტონის სვეტები ითავსებს როგორც კონსტრუქციულ, ისე დეკორატიულ ფუნქციას. ზედაპირი ბეტონისათვის დამახასიათებელ ფოროვან, ხელით შესაგრძნობ ტექსტურას ავლენს. კონსტრუქციის მთელი სილამაზე ბალანსშია: ბუნებრივი მასალების ავთენტურობა ორგანულად ერწყმის გარემოს. მასალებისა და გარემომცველი სიმწვანის ურთიერთქმედების შედეგად ხდება ერთგვარი გარდასახვა და მთელი ნაგებობა მთიან ლანდშაფტს ემსგავსება.

იგივე ითქმის გზის საფარზეც. აქ გამოყენებული მასალები სივრცეთა იერარქიულობის გამოკვეთასა და ღია ტერიტორიაზე სიმყუდროვის შექმნას ემსახურება. ლანდშაფტი და არქიტექტურული მასალები ერთიან, ჰარმონიულად შერწყმულ პალიტრას გვთავაზობს. გზის საფარის მასშტაბი და მასალების მრავალფეროვნება აძლიერებს სივრცის ვიზუალურ აღქმას და ზრდის მის ფუნქციურობას

## ჰარმონია მასშტაბში

ფასადისა და ძირითადი საფეხმავლო ზონების მოსაპირკეთებლად დიდი ზომის ბუნებრივი ქვების გამოყენება სივრცეს მონუმენტურ იერს ანიჭებს. დასასვენებელ ადგილებში მასშტაბის თანდათანობითი შემცირება და მწვანე სივრცეებში ხრეშის ან სხვა პატარა ზომის საფარის გამოყენება არქიტექტურული გარემოდან ბუნებრივ ლანდშაფტზე გადასვლასა და მეტი სიმყუდროვის შექმნას ემსახურება.

## წყლის ელემენტები

რა თქმა უნდა, რომ წყალი ზღვისპირა კომპლექსის განუყოფელი ნაწილია. წყლის ელემენტები ლანდშაფტის დიზაინის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს და ბუნებასთან სიახლოვის, სიცოცხლის, რეკრეაციის შეგრძნებას აძლიერებს.

აღნიშვნას იმსახურებს საგულდაგულოდ შერჩეული გამტარი ზედაპირები - ხრეში ან გაზონის ბადეები - რომლებიც წყლის ნიადაგში შეღწევას უზრუნველყოფს, აფერხებს არასასურველ ადგილებში წყლის დაგუბებას და მცენარეების ჯანსაღ ზრდას უწყობს ხელს.

მთელ ტერიტორიაზე ბეტონის საფარში ადგილობრივი სანაპიროს ქვა გამოიყენება, რაც ორგანულად ჯდება საერთო იერსახეში.

სხვადასხვაგვარად დამუშავებული მასალები მრავალფეროვან პალიტრას ქმნის. მათი შერჩევის პროცესში ვითვალისწინებდით როგორც დიზაინის გამომსახველობას, ისე მომხმარებლების პრაქტიკულ საჭიროებებს.







# ბიოკლიმატური კომფორტი და ადამიანურ საჭიროებებზე მორგებული დაპროექტება

სილქ თაუერსის ეკოლოგიური მდგრადობა მხოლოდ შერჩეული მასალებით არ შემოიფარგლება. ეკოლოგიური მდგრადობა მთელი პროექტის ფილოსოფიაა: აქ შენობები „სუნთქავენ“, წარმოქმნიან ჩრდილს და ჰარმონიულად ერწყმიან ბუნებას.

ჩვენ ვითანამშრომლეთ საუკეთესო ურბანისტებთან, ლანდშაფტის არქიტექტორებთან და ბიოკლიმატის ექსპერტებთან. დიდი გამოცდილებისა და გულმოდგინების შედეგია განუმეორებელი არქიტექტურა, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს კლიმატურ გამოწვევებს:

---

ქარისა და მზის გამოსხივების ანალიზმა გავლენა იქონია შენობებისა და აივნების განლაგებაზე. ტერასები სილქ თაუერსში მხოლოდ პანორამულ ხედებს არ ემსახურება: ისინი ქმნიან ვენტილაციას და ამცირებენ სითბურ ნაკადებს

---

ფანჯრისა და კედლის თანაფარდობა თავიდან 80%-დან 60%-მდე, შემდეგ კი 40%-მდე შემცირდა. ფანჯრების ამგვარი ოპტიმიზაცია შეამცირებს გადახურებას და გააუმჯობესებს საცხოვრებლის ხარისხს

---

შენობების ფორმები მოდელირებულია ურბანული სითბური ზონების შესამცირებლად და მთელი წლის განმავლობაში კომფორტული მიკროკლიმატის უზრუნველსაყოფად

---

ეს არის არქიტექტურა, რომელიც სრულად პასუხობს გლობალური დათბობის გამოწვევებს და გთავაზობთ ხანგრძლივ კომფორტს - არა მხოლოდ საცხოვრებელს, არამედ ცხოვრების წესს, რომელიც ჰარმონიაშია კლიმატთან.



კონკრეტული არქიტექტურული მასალების გამოყენებისადმი ჩვენი სწრაფვა აიხსნება ადგილობრივი რესურსების დეტალური შესწავლითა და ტრადიციული ხელობის მხარდაჭერის სურვილით. ინდუსტრიული ეპოქის დადგომიდან დღემდე საქართველომ დიდი ინვესტიცია განახორციელა ცემენტისა და ბეტონის ქარხნებში,  რომელთა წარმოების მასშტაბები დროთა განმავლობაში იზრდებოდა და ვითარდებოდა. ამიტომაც ძირითად მასალად ბეტონის არჩევა შეესაბამება ადგილობრივ ტექნოლოგიებს, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია ბაზარზე. შესაბამისად, პროექტი ხელს შეუწყობს ბეტონის რეგიონული მომწოდებლების გააქტიურებასა და ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას.

ტრადიციული პროცესებისადმი ერთგულებასთან ერთად, ჩვენ ვგეგმავთ, წარმოების ყველა ეტაპზე დავნერგოთ მეტად პასუხისმგებლობიანი მიდგომები. პროექტში გამოყენებული იქნება მდგრადი ბეტონი, რაც ითვალისწინებს დამატებითი ცემენტური მასალების (SCM-ების), გადამუშავებული ინერტებისა და დანამატების ინტეგრაციას. წინასწარ შემუშავებული სტრატეგიები გვაძლევს საშუალებას, მაქსიმალურად შევამციროთ ნარჩენების ოდენობა.

# მეტი
# სილქ დეველოპმენტის
# პროექტების შესახებ

კენგო კუმა
& პარტნიორების მიერ

Silk Development

მწვანე კონცხი
ბოტანიკო

# მწვანე კონცხი ბოტანიკო

მწვანე კონცხი ბოტანიკო მდებარეობს ბათუმის მახლობლად, ბოტანიკური ბაღიდან ფეხით 2 წუთის სავალზე, ხოლო ბათუმის ცენტრიდან მხოლოდ 9 კმ-ის მოშორებით. მისი მშენებლობა 2023 წელს დასრულდა. კომპლექსი ორ 7-სართულიან საცხოვრებელ კორპუსსა და ერთ გამაჯანსაღებელ და სარელაქსაციო შენობას მოიცავს. კომპლექსის 80-ვე ბინა გამოირჩევა უზარმაზარი ვიტრაჟული ფანჯრებით, რომლებიც შავი ზღვისა და ბუნებრივი ლანდშაფტის საუცხოო ხედებს შლის. შენობები განსაკუთრებულად ერწყმის მარადმწვანე სუბტროპიკულ გარემოს და მთლიანად ჩაფლულია ბუნებაში, რაც მაცხოვრებლებისა და ვიზიტორებისთვის ჰარმონიული და მშვიდი დასვენების წინაპირობაა.

პროექტის გენერალური გეგმა, არქიტექტურა, ინტერიერისა და ლანდშაფტის დიზაინი არქიტექტურულმა კომპანია MUA ARCHITECTURE & PLACEMAKING-მა შექმნა. მთავარი კონცეფცია შენობებისა და უნიკალური სუბტროპიკული ლანდშაფტის ჰარმონიულ შერწყმას ეფუძნება, რათა მაცხოვრებლებსა და ვიზიტორებს ბუნებასთან სიახლოვისა და ჰარმონიის განსაკუთრებული განცდა შეუქმნას.



RESIDENTIAL | MID RISE / RESORT CATEGORIES

Public vote winner
Housing Project of the Year- Mid Rise
archello awards'24

Booking.com
Traveller Review Awards 2024



# სასტუმრო ტელეგრაფი

სასტუმრო ტელეგრაფი თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, ცენტრალური ფოსტის ისტორიულ შენობაში მდებარეობს. შენობა, რომელიც 70-იან წლებში არქიტექტორებმა ლადო ალექსი-მესხიშვილმა და თეიმურაზ მიქაშავიძემ შექმნეს, თავისი დროის არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. მის რეკონსტრუქციასა და სასტუმროს დიზაინზე მსოფლიოს ერთ-ერთმა წამყვანმა არქიტექტურულმა სტუდიამ NERI & HU იმუშავა. ახალი კონცეფცია დახვეწილი ესთეტიკისა და ფუნქციის იდეალურად შერწყმას ეფუძნება. რეკონსტრუქცია შენობის პირველადი იერსახის მაქსიმალური შენარჩუნებით განხორციელდა. მათ შორის, შენარჩუნდა ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული გარე ფასადი, რომელიც თბილისის ურბანული ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ნაწილია.

სასტუმრო სტუმრებს სთავაზობს 239 ელეგანტურად მოწყობილ ოთახს, სხვადასხვა კონცეფციის მაღალი კლასის რესტორნებს, ბარებსა და ჯაზ-კლუბს. სასტუმრო ასევე უზრუნველყოფს საკონფერენციო სივრცეებს სხვადასხვა კულტურული და ბიზნეს ღონისძიებისათვის.

Telegraph

THE LEADING HOTELS OF THE WORLD®



2024 წლის ნოემბერში ტელეგრაფი ოფიციალურად გახდა THE LEADING HOTELS OF THE WORLD (LHW)-ის წევრი, რაც რეგიონში პირველი შემთხვევაა და ცხადყოფს, რომ სასტუმრო სტუმარმასპინძლობის ახალ პრემიუმ სტანდარტებს აწესებს.

უნიკალური არქიტექტურა, ისტორიული მემკვიდრეობა და სტუმარმასპინძლობის უმაღლესი სტანდარტი ტელეგრაფს არა მხოლოდ თბილისის, არამედ მთელი რეგიონის მასშტაბით გამორჩეულ სასტუმროდ აქცევს.



# საკონტაქტო ინფორმაცია

**ელფოსტა:** info@silktowers.ge

**WHATSAPP:** +995 577 000 250

**ტელეფონი:** 032 2 250 250

**ვებგვერდი:** www.silktowers.com

**გაყიდვების ოფისი:** ბათუმი, თენგიზ აბულაძის ქუჩა #3



# სიდქ თაუერსი

კენგო კუმა & პარტნიორების მიერ